საშუალოვადიანი მიზანი 4.5 - ზემოქმედების რისკი საშიში ქიმიური ნივთიერებებისა სამუშაო ადგილებზე (განსაკუთრებით სოფლად) გარემოში შეფასებულია და შემცირებულია 2020 წლისათვის.

საშუალოვადიანი მიზანი 4.6 - მოსახლეობაზე რადონის ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები დაგეგმილია და დაწყებულია განხორციელება 2020 წლისათვის.

3.5. სტრატეგიული ამოცანა №5.

ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრირება კლიმატის ცვლილებების ადაპტაციისა და შერბილების პოლიტიკაში.

დასაბუთება:

კლიმატის ცვლილების ფენომენი აღიარებულ იქნა გლობალურ პრობლემად 1979 წელს გამართულ კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონფერენციაზე, როცა აღინიშნა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდის ტენდენცია და გახშირებული

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფები. კლიმატური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჯანმრთელობის, სოციალურ და გარემო ფაქტორებზე, როგორცაა: სუფთა ჰაერი, უსაფრთხო სასმელი წყალი, საკმარისი საკვები და უსაფრთხო საცხოვრებელი. ჯანმო-ს მონაცემებით ადამიანის ჯანმრთელობაზე განსაკუთრებულ გავლენას კლიმატის ცვლილების სამი ძირითადი დამახასიათებელი მოვლენა ახდენს, რომელთა შორისაა: თბური ტალღები, ბუნებრივი კატასტროფები და შეცვლილი ინფექციური ფონი.

კლიმატის ცვლილება ასევე მოიაზრება ინფექციური პათოლოგიების, განსაკუთრებით წყლისმიერი და ტრანსმისიული ინფექციების, გახშირების ხელშემწყობ ფაქტორად. ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა დიდ გავლენას ახდენს ინფექციის, მაგალითად, მალარიის გადამტანი მწერის სასიცოცხლო ციკლზე. თუკი მწერის არსებობისთვის ხელსაყრელი კლიმატი ჩამოყალიბდა (მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა), ინფექციური პათოლოგია იოლად ვრცელდება. კლიმატის ცვლილებებმა შესაძლოა გაახანგრძლივოს ტრანსმისიული დაავადებების სეზონი და/ან შეცვალოს ამ დაავადებების გეოგრაფიული არეალი.

ვარაუდობენ, რომ ტემპერატურის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზრდება ისეთი დაავადებების რიცხვი, როგორცაა: მალარია, ნილოსის ცხელება, ვირუსული ჰემორაგიული ინფექციები; ადგილი ექნება ისეთი ქრონიკული დაავადებების ზრდასაც, როგორცაა ასთმა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და სხვ.

ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურა უშუალოდ ზრდის გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობას, განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებში. ზღვის დონის მატება და ექსტრემალური ამინდით გამოწვეული კატასტროფები დააზიანებს მოსახლეობის საცხოვრისს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურას.

კლიმატური ცვლილებების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება შესაძლოა მხოლოდ მიახლოებითი იყოს. მიუხედავად ამისა, ჯანმო აცხადებს, რომ კლიმატური ცვლილებები 250 000-ით მეტ სიკვდილის შემთხვევას გამოიწვევს ყოველწლიურად 2030-2050 წლებში. აქედან 38 000 ხანდაზმულ პირებში დაფიქსირდება თბური ტალღების ექსპოზიციის გამო, 48 000 - დიარეის და 60 000 - მალარიის გამო; 95 000 სიკვდილის შემთხვევა ახალშობილებშია მოსალოდნელი საკვების ნაკლებობის გამო. კლიმატის ცვლილებების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შედეგების გამოვლენა და რაოდენობრივი შეფასება აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის შესამუშავებლად.

მიღწევები და გამოწვევები:

საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. სურათი განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მიერ საქართველოსათვის მოწოდებულ მესამე ეროვნულ შეტყობინებაში ასახულია კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები.

გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მიერ წარდგენილ მესამე ეროვნულ შეტყობინებაში კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები მოცემულია ორ პერიოდში - 1961-1985 და 1986-2010 წლებში. დასავლეთ საქართველოში

პირველიდან მეორე პერიოდამდე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,3°C- ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი გაიზარდა 5%-ით; აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0,5°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი შემცირდა 2%-ით;“

შავი ზღვის სანაპირო ზოლში წლიური ნალექები ვარირებს 1500-1700მმ შუალედში. აღმოსავლეთ საქართველოში წლიური ნალექები ვარირებს 400-600მმ, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში შეადგენს 800-1200მმ.

გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მიერ წარდგენილ მესამე ეროვნულ შეტყობინებაში კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები მოცემულია ორ პერიოდში - 1961-1985 და 1986-2010 წლებში. დასავლეთ საქართველოში პირველიდან მეორე პერიოდამდე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,3°C- ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი გაიზარდა 5%-ით; აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0,5°C-ით, ხოლო ნალექთა წლიური ჯამი შემცირდა 2%-ით;“

გარდა იმისა, რომ თბილისში აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი კლიმატის ცვლილების ზოგადი ტენდენცია, დედაქალაქში განსაკუთრებით მწვავედ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები, რაც გამოწვეულია ურბანიზაციით, თბური ტალღებისგან გამოწვეული „კუნძულის ეფექტით“ (მაღალი ტემპერატურის პირობებში ასფალტის, შენობების მიერ ხდება სითბოს შთანთქმა, რაც ქალაქის „გავარვარებას“ და სითბოს შენარჩუნებას იწვევს მზის ჩასვლის შემდეგაც).

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილება ჯერ-ჯერობით არ ვლინდება წყლისმიერი და ტრანსმისიული ინფექციების დინამიკაში. უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს შემთხვევების კლებას მალარიის, ლეიშმანიოზის, ყირიმ-კონგოს ცხელებისა და სხვა მწერებით გავრცელებადი დაავადებების მხრივ. საქართველოს წითელმა ჯვარმა 2012-2013 წწ. ჩაატარა პილოტური კვლევა თბურ ტალღებზე, რის საფუძველზეც შემუშავდა თბური ტალღების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია 2008 წელს ჯანმო-ს 61-ე ასამბლეაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად (კლიმატის ცვლილებების მავნე ზემოქმედებისაგან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს სამოქმედო გეგმა ჯანმოს წევრი ქვეყნებისთვის) შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით:

- ჯანმრთელობის სისტემების ხელშეწყობა, რათა გაძლიერდეს და გაიზარდოს მათი შესაძლებლობა ჯანმრთელობის მოწყვლადობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის.
- განისაზღვროს კლიმატის ცვლილებებით განპირობებული რისკები და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად, პირველ რიგში, მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის.
- შესაბამისი სტრატეგიებისა და მოქმედებების შემუშავება და დანერგვა.
- ცოდნისა და კარგი პრაქტიკის განვრცობა და გაზიარება.

სტრატეგიული ინტერვენციები:

საშუალოვადიანი მიზანი 5.1 - კლიმატის ცვლილებებისადმი მოწყვლადობის, ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და ადაპტაციის (ჯანდაცვითი ასპექტების) შეფასება კლიმატის ცვლილებების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების არსებული და მოსალოდნელი რისკების შეფასების ჩათვლით 2022 წლისათვის;

საშუალოვადიანი მიზანი 5.2 - ეროვნული ჯანდაცვის ადაპტაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებისთვის 2021 წლისათვის;

საშუალოვადიანი მიზანი 5.3 - კანონმდებლობის ჰარმონიზება UNFCCC-ის კონვენციის მოთხოვნებისა და ჯანმრთელობის გამოსავლების შეფასების გათვალისწინებით 2022 წლისათვის;

საშუალოვადიანი მიზანი 5.4 - ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ სათბური გაზების ემისიების წილის შემცირება ეროვნულ ემისიებში, მათ შორის, რამოდენიმე საავადმყოფოში პილოტური პროექტის ფარგლებში განახლებადი ენერჯის გამოყენების დანერგვა 2022 წლისათვის.

საშუალოვადიანი მიზანი 5.5 - მოსახლეობის განათლება/მომზადება და მზადყოფნა ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისათვის, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა ექსტრემალური ამინდის მოვლენები, აგრეთვე ტექნოგენური კატასტროფები 2020 წლისათვის.

4 შესრულების ძირითადი ინდიკატორები

(“Key Performance Indicators - KPIs) და მიზნები 2021 წლისთვის (საბაზისო - 2015 წელი).

ქვეყანაში გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, გარემოს ზემოქმედებით განპირობებული დაავადებების ტვირთის შემცირება და მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მოითხოვს სხვადასხვა სექტორებს შორის ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელებას.

გარემოს საზიანო ზემოქმედებამ და პროფესიულმა რისკ-ფაქტორებმა, როგორცაა სასმელი/სარეკრეაციო წყლის რესურსების და შენობის შიგნით და გარეთ ჰაერის დაბინძურება, ოზონი, მტვერი, საწვავის წვის შედეგად გამოყოფილმა ნივთიერებებმა და ალერგენებმა, კანცეროგენებმა, მაიონებელმა და არამაიონებელი გამოსხივების ექსპოზიციამ, ხმაურმა, ვიბრაციამ, აგროქიმიკატების და პესტიციდების უკონტროლო გამოყენებამ სიცოცხლის ციკლის ყველა ეტაპზე, შეიძლება გამოიწვიოს გარემოს ზემოქმედებით განპირობებული დაავადებების ტვირთის გაზრდა, შესაბამისად დაავადებათა პრევენციისა და თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სახვადასხვა უწყებების კოორდინირებული მოქმედება, ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელება და პროგრესის შეფასება „შესრულების ძირითადი ინდიკატორების“ (Key Performance Indicators - KPIs) მეშვეობით. შესრულების ძირითადი ინდიკატორები აჩვენებს რამდენად ეფექტურია ხარჯი და დიდია სარგებელი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ინდიკატორებს შესაძლებელია მიწერილ ექნეს „მონაცემი არ არის, უნდა განისაზღვროს“, რადგან ქვეყანაში არ არსებობს ბაზისური მონაცემი.

დანართი N1 გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები 2018-2022 წწ.

| | აქტივობა | გეგმის განხორციელების შეფასების ინდიკატორი | საბაზისო მონაცემები (2016/2015) | სამიზნე მონაცემები | განხორციელების ვადები | | | | |
|--|---|---|-------------------------------------|--|-----------------------|------|------|------|------|
| | | | | | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
| <p>ამოცანა 1.1 საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, პოლიტიკა წყლის რესურსების, სასმელი წყალმომარაგების დაცვისათვის გადახედილია და განახლებულია 2021წ.</p> <p>შენიშვნა: ოქმის „წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ“ რატიფიცირების შემდეგ, ამოცანა 1.1 და შესაბამისი აქტივობები, ოქმის დებულებებით, წარმოადგენს ეროვნულ პრიორიტეტულ მიზანს.</p> | | | | | | | | | |
| 1.1.1 | არსებული კანონმდებლობის გადახედვა, წყლის რესურსების, სასმელი წყლის ხარისხისა და სანიტარიის შესახებ, რომელიც მოითხოვს ჰარმონიზაციას საერთაშორისო მოთხოვნებთან. | კანონმდებლობა გადახედულია 2020 წლისათვის და მიმზადებულია ანგარიში განხილული კანონების მითითებით | უნდა განისაზღვოს | ყველა დარგობრივი კანონი და კანონქვემდებარე ნორმატივი გადახედულია | | P | P | | |
| 1.1.2 | სასმელი წყლის ხარისხისა და სანიტარიის შესახებ ეროვნული პოლიტიკისა და მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელება ჯანმო-ს რეკომენდაციის შესაბამისად | საკანონმდებლო ცვლილებები დამტკიცებულია 2020 წლისათვის და მომზადებულია ანგარიში ახლადმიღებული დოკუმენტების რაოდენობისა და ჯანმო-ს რეკომენდაციებთან შესაბამისობის შესახებ | მონაცემი არ არის/ ან არასრულყოფილია | ამოქმედებულია ახალისაკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები | | | | P | |

| | | | | | | | | | |
|--|--|---|--|--------------------------------|--|---|--|--|--|
| 1.1.3 | ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება და წყლის ახალი კანონის მიღება | ჰარმონიზაციის პროცესის და პროგრესის შეფასების ანგარიში მომზადებულია | მიმდინარეობს მუშაობა, "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის სამუშაო ვერსია მზადაა | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | P | | | |
| 1.1.4 | ოქმის "წყალი და ჯანმრთელობა" რატიფიკაცია | რატიფიკაციის სტატუსი | მიმდინარეობს მუშაობა, ინიცირებულია რატიფიკაციის პროცესი, ქართულენოვანი ვერსია მზადაა | რატიფიცირებულია | | P | | | |
| 1.1.5 | ოქმის "წყალი და ჯანმრთელობა" მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნული პრიორიტეტული მიზნების, მაჩვენებლების და განხორციელების ვადების შემუშავება და დამტკიცება | პრიორიტეტული ეროვნული მიზნები, მაჩვენებლები და სავარაუდო შესრულების ვადები დამტკიცებულია მთავრობის მიერ | მიმდინარეობს მუშაობა | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | P | | | |
| <p>ამოცანა 1. 2. სასმელი წყლის ხარისხისა და წყლით გადამდები დაავადებების ეფექტური ზედამხედველობის სისტემების ჩამოყალიბება 2018-2022 წწ.</p> <p>შენიშვნა: ოქმის „წყლისა და ჯანმრთელობა შესახებ“ რატიფიცირების შემდეგ, ამოცანა 1.2, და შესაბამისი აქტივობები, ოქმის დებულებებით, წარმოადგენს ეროვნულ პრიორიტეტულ მიზანს</p> | | | | | | | | | |
| 1.2.1 | სასმელი წყლის ხარისხზე ზედამხედველობის არსებული სისტემის სიტუაციური ანალიზი და გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება. | ჩატარებულია სიტუაციური ანალიზი, დასახულია ღონისძიებები | მონაცემი არ არის/ ან არასრულყოფილია | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|--|--|--|---|--|--|---|
| 1.2.2 | წყლით გადამდები დაავადებების ზედამხედველობის არსებული სისტემის სიტუაციის ანალიზი და გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება. | ჩატარებულია სიტუაციური ანალიზი, დასახულია ღონისძიებები | მუშაობა მიმდინარეობს | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | P | | | P |
| 1.2.3 | სასმელი წყლის ხარისხზე სახელმწიფო რუტინული მონიტორინგის განხორციელება და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. | სასმელი წყლის ხარისხის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა შეიქმნა, ფუნქციონირებს და რეგულარულად ახლდება. სასმელი წყლის ხარისხის შეფასების ლაბორატორიები დადგენილია და ჩართულია სასმელი წყლის ხარისხის მონაცემთა ერთიანი ბაზაში 2020 წლისათვის | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | მონაცემთა ერთიანი ბაზა შემუშავებულია და ახლდება პერიოდულად | | P | | | |

ამოცანა 1.3. ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს

შენიშვნა: ოქმის „წყლისა და ჯანმრთელობს შესახებ“ რატიფიცირების შემდეგ, ამოცანა 1.3. და შესაბამისი აქტივობები, ოქმის დებულებებით, წარმოადგენს ეროვნულ პრიორიტეტულ მიზანს.

| | | | | | | | | | |
|-------|---|--|---|--|--|---|--|--|--|
| 1.3.1 | ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების სისტემების ინვენტარიზაცია. | ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2020 წლისათვის. % რაოდენობა მოსახლეობისა, რომელსაც ხელი მიუწვდება „გაუმჯობესებულ“ და „არაგაუმჯობესებულ“ წყალმომარაგების სისტემებზე დადგენილია | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე, 2015წ. მოსახლეობის 100%-ს მიუწვდება ხელი გაუმჯობესებულ წყალმომარაგების სისტემებზე | მონაცემთა ბაზა/ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზა სრულყოფილია ეროვნულ დონეზე | | P | | | |
| 1.3.2 | ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების სისტემების, რეაბილიტაციის, მოდერნიზაციის და გაუმჯობესების საჭიროებების განსაზღვრა უსაფრთხო სასმელი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად | წყალმომარაგების სიტემების გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებები განსაზღვრულია და გაწერილია შესრულების ვადები. წყალმომარაგების ძველი ტექნოლოგიები თანდათან ჩანაცვლებულია | მონაცემი არასრულყოფილია | რეაბილიტაციის, მოდერნიზაციის და გაუმჯობესების გეგმა დამტკიცებულია | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|--|--|---|---|---|---|---|
| 1.3.3 | ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების სისტემებში ჯანმო-ს რეკომენდაციის წყლის უსაფრთხოების გეგმების WSP-ის მიდგომების ჩართვა/დანერგვის ეტაპობრივი გეგმის მომზადება | წყლის უსაფრთხოების გეგმის WSP-ის მიდგომების დანერგვა ასახულია სასმელი წყლის ეროვნულ რეგულაციებში, დაგეგმილია მხარდამჭერი პროგრამები, წყლის უსაფრთხოების გეგმა - WSP განხორციელდა, ეტაპობრივი დანერგვის გეგმა შემუშავებულია 2020 წლისათვის | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | დიდი ქალაქების, რაიონებისა და სოფლის წყალმომარაგების სისტემების 10%-ში დანერგილია WSP-ის მიდგომები | | P | | | |
| 1.3.4 | სასწავლო პროგრამების შემუშავება ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგების სისტემებში დასაქმებულთა პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. | საგანმანათლებლო პროგრამა და ფუნქციონირებს ტრენინგების ციკლი 2019 წლისათვის, გადამზადებული მომსახურე პერსონალის რაოდენობა ასახულია | მონაცემები არ არის | დიდი ქალაქებისა და რაიონების წყალმომარაგების სისტემებში დასაქმებულებს გავლილი აქვთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები | | P | | | |
| 1.3.5 | მოსახლეობისათვის ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება და დროული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება სასმელი წყლის ხარისხის შესახებ | წყლის რესურსების დაცვის, წყლის ჰიგიენისა და წყლით გადამდები დაავადებების პრევენციისთვის ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა. მოსახლეობას ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე სასმელი წყლის ხარისხის შესახებ. | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | ვებ-გვერდი, რომელზეც ხელმისაწვდომია ინფორმაცია | P | P | P | P | P |

ამოცანა 1.4. ქვეყნის მოსახლების ადეკვატური საკანალიზაციო/სანიტარიული სისტემებით უზრუნველყოფა -2022წ.

შენიშვნა: ოქმის „წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ“ რატიფიცირების შემდეგ, ამოცანა 1.4, და შესაბამისი აქტივობები, ოქმის დებულებებით, წარმოადგენს ეროვნულ პრიორიტეტულ მიზანს.

| | | | | | | | | | |
|-------|--|--|---|--|--|--|---|--|--|
| 1.4.1 | ქალაქებისა და სოფლების საკანალიზაციო/სანიტარული სისტემების ინვენტარიზაცია. | ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლისათვის.% რაოდენობა მოსახლეობისა, რომელსაც ხელი მიუწვდება „გაუმჯობესებულ“ და „არაგაუმჯობესებულ“ სანიტარული/საკანალიზაციო ობიექტებზე დადგენილია | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე, 2015წ. მთლიანად 86%-გაუმჯობესებული, 13%-არაგაუმჯობესებული | მონაცემთა ბაზა/ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზა სრულყოფილია ეროვნულ დონეზე | | | P | | |
| 1.4.2 | კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა ქალაქებისა და სოფლების საკანალიზაციო/სანიტარული სისტემების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით წყლის რესურსების დაბინძურებისაგან დასაცავად | საკანალიზაციო/სანიტარული სისტემების გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებები განსაზღვრულია და გაწერილია შესრულების ვადები, საკანალიზაციო/სანიტარული სისტემების ძველი ტექნოლოგიები თანდათან ჩანაცვლებულია | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | რეაბილიტაციის და გაუმჯობესების გეგმა დამტკიცებულია | | | P | | |

ამოცანა 1.5. სასმელი წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის WASH მდგომარეობის გაუმჯობესება სასწავლო-სააღმზრდელო, სამედიცინო დაწესებულებებში, სარეკრეაციო ტერიტორიების და დევნილთა განთავსების ადგილებში

| | | | | | | | | | |
|-------|--|--|---|--|--|---|---|--|--|
| 1.5.1 | პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენური მდგომარეობის WASH გასაუმჯობესებლად | ხელმისაწვდომობა გაზრდილია უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელებით; უწყვეტი ზედამხედველობით გაუმჯობესებულია ჰიგიენური პირობები | ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა მოიცავს 70%-ს. სკოლების 4% - ქალაქად და 12% -სოფლად სასმელი წყალმომარაგების ძირითად წყაროდ იყენებს არაგაუმჯობესებულ წყაროს | სკოლების 100% ქალაქებში და სოფლებში უნდა იყენებდეს გაუმჯობესებულ წყალმომარაგების წყაროებს | | P | | | |
| 1.5.2 | პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სამედიცინო დაწესებულებებში სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენური მდგომარეობის WASH გასაუმჯობესებლად | ხელმისაწვდომობა გაზრდილია უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელებით; უწყვეტი ზედამხედველობით გაუმჯობესებულია ჰიგიენური პირობები | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | 100% სამედიცინო დაწესებულებისა ქალაქებში და სოფლებში უნდა იყენებდეს გაუმჯობესებულ წყალმომარაგების წყაროებს | | P | | | |
| 1.5.3 | პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, არსებული სიტუაციის შეფასება დევნილთა ჩასახლების ადგილებში სასმელი წყალმომარაგების, სანიტარიის, ჰიგიენური მდგომარეობის WASH გასაუმჯობესებლად. | ხელმისაწვდომობა გაზრდილია უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელებით; უწყვეტი ზედამხედველობით გაუმჯობესებულია ჰიგიენური პირობები | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | 100% დევნილთა ჩასახლებები ქალაქებში და სოფლებში უნდა იყენებდეს გაუმჯობესებულ წყალმომარაგების წყაროებს | | | P | | |
| 1.5.4 | საცურაო აუზების წყლის ხარისხზე მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება | განსაზღვრულია პასუხისმგებლობები; ანგარიში ხელმისაწვდომია | მონაცემები არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | ყველა მონაცემი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|-------|---|--|--|---|--|---|--|--|--|
| 1.5.5 | სარეკრეაციო/ საბანაო ადგილების იდენტიფიკაცია და წყლის ხარისხის მონიტორინგის განხორციელება. ცნობიერების დონის ამაღლება საზოგადოების საბანაო წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. | განსაზღვრულია პასუხისმგებლობები; ანგარიში ხელმისაწვდომია | მონაცემი არასრულყოფილია ეროვნულ დონეზე | ყველა მონაცემი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე | | P | | | |
|-------|---|--|--|---|--|---|--|--|--|

ამოცანა 2.1 ბავშვთა უსაფრთხოების სფეროში 2020 წლისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად კანონმდებლობის რელევანტური ჰარმონიზაცია

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|---|-------------------------------|--|--|--|--|---|
| 2.1.1 | ბავშვთა უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი კანონმდებლობის იდენტიფიცირება და მისი რელევანტური ჰარმონიზაცია | ჰარმონიზაციის პროცესის და პროგრესის შეფასების ანგარიში მომზადებულია | სპორტისა და ფიზიკური განათლების სფეროში კანონის სამუშაო ვერსია უკვე მომზადებულია, რომელიც შესაბამისობაშია ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან | ჰარმონიზაცია განხორციელებულია | | | | | P |
|-------|--|---|---|-------------------------------|--|--|--|--|---|

ამოცანა 2.2. 2018 წელთან შედარებით 2020 წლისთვის სკოლებისა და საბავშვო ბაღების წილობრიობის X%-ით გაზრდა, სადაც ხელმისაწვდომია უსაფრთხო ფიზიკური აქტივობა

| | | | | | | | | | |
|-------|---|---|---|---|--|---|---|---|---|
| 2.2.1 | უსაფრთხო ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად ადექვატური ობიექტების აღჭურვილობის სტანდარტის დანერგვა | ანგარიში მომზადებულია სტანდარტის დანერგვის შესახებ | განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი ეროვნული სტანდარტები და შესაბამისი მოთხოვნები საჭიროებს განათლების სისტემის უსაფრთხო სპორტული დაწესებულებების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებას. | სტანდარტი შემუშავებული და დანერგილია | | P | | | |
| 2.2.2 | უსაფრთხო ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად სკოლებსა და ბაღებში ეროვნული პროგრამების ადვოკატირება | ეროვნული პროგრამა მომზადებულია | მიმდინარეობს მუშაობა | ამოქმედებულია ეროვნული პროგრამა უსაფრთხო ფიზიკური აქტივობის უზრუნველსაყოფად სკოლებსა და ბაღებში | | P | P | P | P |
| 2.2.3 | სასკოლო დაწესებულების გარეთ ფიზიკური აქტივობის ხელმისაწვდომობის გაზრდა | ბავშვთა ფიზიკური აქტივობისთვის საჭირო სპორტული მოედნების და სკვერების რაოდენობა გაზრდილია | არათანაბარი ხელმისაწვდომობა | ახლადგახსნილი სპორტული მოედნების და სკვერების რაოდენობის ყოველწლიურად ზრდა | | P | P | P | P |
| 2.2.4 | ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციის მიზნით საგანმანათლებლო მასალების, ფლაიერების მომზადება და დისემინაცია | მომზადებულია მასალები | არ ხორციელდება მასალების მომზადება და სოციალურ ქსელებში განთავსება | ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის ზრდა | | P | P | P | P |

ამოცანა 2.3. 2018 წელთან შედარებით 2020 წლისთვის სკოლების წილობრიობის გაზრდა, რომელთა მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება.

| | | | | | | | | | |
|-------|--|--|--|--|--|---|---|---|---|
| 2.3.1 | სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურის (ზებრა გადასასვლელები, შუქნიშნები, სიჩქარის შემზუდავი ბორცვები) ადვოკატირება. | ყველა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ზებრა გადასასვლელები, შუქნიშნები, სიჩქარის შემზუდავი ბორცვები | ზებრა გადასასვლელები, შუქნიშნები, სიჩქარის შემზუდავი ბორცვები არ არის ყველა სკოლასთან | სკოლების 100% უზრუნველყოფილია ზებრა გადასასვლელებით, შუქნიშნებით, სიჩქარის შემზუდავი ბორცვებით | | | P | P | P |
| 2.3.2 | ბავშვებზე ფოკუსირებული უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობი საგანმანათლებლო მასალების მომზადება და პილოტური დანერგვა შერჩეულ სკოლებში. | მასალები მომზადებულია, მომზადებულია ანგარიში პილოტურად დანერგვის შესახებ | მასალები მზადდება და თავსდება დაავადებთა კონტროლისა და სოციალური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე | მასალები მომზადებულია, პილოტურად დანერგულია | | P | P | P | P |

ამოცანა 2.4 ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე ხმაურის ზემოქმედება შემცირება 2021წწ.

| | | | | | | | | | |
|--------|---|---|--|--|--|--|--|---|--|
| 2,4,1, | 2.4.1 ხმაურის დონის მონიტორინგი და შენობებში ხმაურის ზემოქმედების შეფასება, სადაც ბავშვები იმყოფებიან უმეტესი დროით, ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად. | % რაოდენობა სკოლებისა და შენობებისა სადაც მიმდინარეობს ხმაურის დონის მონიტორინგი. | მონაცემები არ არის | სკოლებისა და საბავშვო ბაღების % რაოდენობა, რომლებშიც განხორციელდა მონიტორინგი | | | | P | |
| 2,4,2 | 2.4.2 ქალაქდაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად | გატარებული ღონისძიებების ანგარიში | მიმდინარეობს მუშაობა, სრული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი | ხმაურის მონიტორინგის რუკა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკის შეფასება თბილისში | | | | P | |

ამოცანა 3.1. რელევანტური კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსპორტით დაბინძურების შესახებ“. კონვენციის ბოლო სამი ოქმი რატიფიცირებულია

| | | | | | | | | | |
|--------|---|--|---|--|--|--|--|---|--|
| 3.1.1. | შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსპორტით დაბინძურების შესახებ კონვენციის ბოლო სამი ოქმის რატიფიკაციის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულია | 1999 წლის ოქმი აციდიფიკაციის, ელტროფიკაციისა და მიწისპირა ოზონის დონის შემცირების შესახებ, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ და ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ რატიფიკაციისთვის მომზადებულია | არ არის რატიფიცირებული შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსპორტით დაბინძურების შესახებ კონვენციის ბოლო სამი ოქმი | ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები სამივე ოქმის რატიფიკაციისთვის | | | | P | |
| 3.1.2. | ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად | ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების რაოდენობა | არსებული კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან | ამოქმედებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები | | | | P | |

ამოცანა 3.2. საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი) ჰაერის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირის დირექტივის (2008/50/EC) შესაბამისად

| | | | | | | | | | |
|--------|--|--|--|--|--|--|---|---|--|
| 3.2.1. | <p>ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ეროვნული ქსელის დიზაინის შექმნა, რომელიც ასახავს მოსახლეობის ექსპოზიციას ჰაერის დაბინძურებისადმი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად</p> | <p>მონიტორინგის სადგურების სივრცობრივი განაწილება და მახასიათებლები შეესაბამება ევროდირექტივას; დააკვირვებადი დამაბინძურებლების ნუსხა შეესაბამება ევროდირექტივას; მონიტორინგის ქსელის ფუნქციური ორგანოგრამა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის</p> | <p>ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი არ შეესაბამება ევროდირექტივის (2008/50/EC) მოთხოვნებს</p> | <p>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის არსებული ეროვნული ქსელისა და მისი განვითარების შესახებ</p> | | | P | | |
| 3.2.2. | <p>ჰაერის ხარისხის მონიტორინგის აღჭურვილობისა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის შესყიდვა და ინსტალაცია</p> | <p>ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი მონიტორინგის სადგურების რაოდენობა; მონიტორინგის სადგურების % რაოდენობა, სადაც ხორციელდება PM10 და PM2.5 გაზომვა</p> | <p>ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ეროვნული სისტემა საჭიროებს განვითარებას მოსახლეობის ექსპოზიციის სრულად მოცვისათვის</p> | <p>მონიტორინგის სადგურები ინსტალირებულია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ეროვნული სისტემის კონცეფციის/პროგრამის შესაბამისად და ასახავს მოსახლეობის ექსპოზიციას</p> | | | | P | |

| | | | | | | | | | |
|--|---|--|--|--|--|--|---|--|--|
| 3.2.3. | მონიტორინგის ქსელის პერსონალის სწავლება/ტრენინგი | ჰაერის მონიტორინგის ქსელის პერსონალის % რაოდენობა, რომელსაც გავლილი აქვს სწავლება/ტრენინგი; | მონიტორინგის ქსელის პერსონალი საჭიროებს სწავლებას/ტრენინგს | მონიტორინგის სადგურებისა და ლაბორატორიის მთელ პერსონალს გავლილი აქვს სწავლება/ტრენინგი | | | P | | |
| 3.2.4. | ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) სისტემის დანერგვა დაწყებულია | მინიტორინგის სადგურების პროპორციული წილი (%), სადაც დანერგილია ხარისხის კონტროლის (QA/QC) სისტემა; PM10, PM2.5, NO2, SO2, O3 კონცენტრაციების მონაცემები შეესაბამება ხარისხის დადგენილ მინიტორინგის მოთხოვნებს | ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) სისტემა არ არის დანერგილი | ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის (QA/QC) სისტემა დანერგილია ევროდირექტივის (2008/50/EC) შესაბამისად | | | P | | |
| <p>ამოცანა 3.3. საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი) ჰაერის დაბინძურებისადმი მოსახლეობის ექსპოზიციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზეგავლენის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია</p> | | | | | | | | | |
| 3.3.1. | საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი) ჰაერის დაბინძურებისა და მოსახლეობის ექსპოზიციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზეგავლენის თაობაზე ინფორმაციის ფორმატისა და მიწოდების წესის განსაზღვრა | მედია საშუალებების (ჟურნალები, ტელევიზია ან რადიო სადგურები, ვებგვერდები) რაოდენობა, რომელთა მეშვეობით მიეწოდება ინფორმაცია მოსახლეობას თითოეული ქალაქის ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ ყოველდღიურ რეჟიმში | ჰაერის დაბინძურებისა და მოსახლეობის ექსპოზიციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზეგავლენის თაობაზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი | ჰაერის ხარისხის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების სისტემა დანერგილია საბაზისო ინდიკატორების (PM10, PM2.5, NO2, SO2, O3) და ჰაერის ხარისხის ინდექსის მიხედვით, შერჩეული ქალაქებისათვის | | | P | | |

| | | | | | | | | | |
|--------|---|---|--|--|--|--|--|---|--|
| 3.3.2. | <p>მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ჰაერის დაბინძურების ზეგავლენის შეფასება საქართველოს დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი) უზრუნველყოფილია</p> | <p>ქალაქების რაოდენობა, რომლისთვისაც ჩატარებულია დასრულებულია ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასება (HIA - Health Impact Assessment); ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებული სიკვდილიანობა 4 ქალაქისათვის; SDG 3.9.1. გაანგარიშებულია</p> | <p>არ გამოქვეყნებულა ჰაერის ხარისხის მენეჯმენტის პოლიტიკაზე ორიენტირებული შეფასების ანგარიში</p> | <p>ჰაერის ხარისხის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის ანგარიში გამოქვეყნებულია</p> | | | | P | |
|--------|---|---|--|--|--|--|--|---|--|

ამოცანა 3.4. გათბობისა და საკვების მომზადების მიზნით შინამეურნეობებსა და ბავშვთა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოყენებული საწვავის (შეშა, გაზი, ნავთი და სხვ.) წვასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები შეფასებულია

| | | | | | | | | | |
|--------|---|--|--|--|--|--|--|---|--|
| 3.4.1. | <p>საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით საწვავის (შეშა, გაზი, ნავთი და ა.შ.) მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები შინამეურნეობებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შეფასებულია რელევანტური ინდიკატორების მიხედვით</p> | <p>ბავშვთა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების % რაოდენობა, რომლისთვისაც ჩატარებულია შეფასება; ბავშვების % რაოდენობა, რომელიც იქნა მოცული შინამეურნეობების კვლევისას; მოსახლეობის % რომელიც იყენებს საწვავის თითოეულ ტიპს საკვების მომზადებისა და გათბობისათვის (SDG 7.1.2.</p> | <p>საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით საწვავის (შეშა, გაზი, ნავთი და ა.შ.) მოხმარებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის რისკები შინამეურნეობებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არ არის შეფასებული</p> | <p>ინდიკატორები შერჩეულია WHO ENHIS და SDG მიხედვით; ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შეფასების (HIA) მეთოდოლოგია განსაზღვრულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, ანგარიში გამოქვეყნებულია</p> | | | | P | |
|--------|---|--|--|--|--|--|--|---|--|

ამოცანა 3.5. ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებები, საბავშვო ბაღები, სკოლები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები თავისუფალია თამბაქოსაგან

| | | | | | | | | | |
|--------|---|---|---|--|--|---|---|---|--|
| 3.5.1. | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარება სრულად იკრძალება კანონმდებლობით | მიღებული სამართლებრივი აქტ(ებ)ის რეკვიზიტები | არ ხორციელდება მონიტორინგი | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარება აკრძალულია კანონმდებლობით | | P | | | |
| 3.5.2. | ეფექტური და სათანადო სწავლების ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება და სენსიტიზაცია თამბაქოს ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად | თამბაქოს მავნე ზეგავლენის შესახებ ადეკვატური ცოდნის მქონე პირების პროცენტული წილი | არ ტარდება სწავლება, დაბალია სენსიტიზაცია | ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მესვეურებს უტარდებათ სწავლება თამბაქოს მავნე ზეგავლენასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გაზრდილია სენსიტიზაცია | | P | P | P | |
| 3.5.3. | ეროვნული კვლევა, ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების შესახებ | აკრძალვებს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების დონე/სიხშირე | ეროვნული კვლევა რა ჩატარებულა | ინფორმაცია თამბაქოს მოხმარების აკრძალვის შესახებ ხელმისაწვდომია და აკრძალვა ამოქმედებული | | | | P | |

ამოცანა 3.6. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ბათუმის სუფთა ჰაერის სამოქმედო პლატფორმისა (Batumi Action for Cleaner Air) და ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუციის WHA68.8 მიხედვით შემუშავებულია კომპლექსური სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ჰაერის დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესამცირებლად, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და სხვა სექტორების ჩართულობით

| | | | | | | | | | |
|---|---|--|--|--|--|--|---|---|--|
| 3.6.1. | ჰაერის დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების კომპლექსური სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება | სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის რეკვიზიტები; პასუხისმგებელი უწყებების ანგარიშების რაოდენობა შესრულებული სამუშაოების შესახებ | ჰაერის დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების კომპლექსური ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული | ჰაერის დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების კომპლექსური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია | | | P | | |
| ამოცანა 4.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში შესაბამისი კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მრავალმხრივ გარემოსდაცვით საერთაშორისო ხელშეკრულებებთან | | | | | | | | | |
| 4.1.1 | კანონი ქიმიური ნივთიერებების შესახებ | მიღებული კანონი | დაწყებულია შეთანხმების პროცესი დონორ ორგანიზაციებთან | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | | P | | |
| 4.1.2 | ნორმატიული აქტ „ნივთიერების და ნარევის კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ“ (01.09.2020 ნივთიერებისთვის და 01.09.2021 ნარევისთვის „ნივთიერებისა და ნარევის კლასიფიკაციის ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ N1272/2008 (CLP) რეგულაციის შესაბამისად). | მიღებული საკანონმდებლო აქტი | დაწყებულია შეთანხმების პროცესი დონორ ორგანიზაციებთან | დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია | | | P | P | |

| | | | | | | | | | |
|-------|---|---|---------------------------|---|--|---|--|--|--|
| 4.1.3 | <p>ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ზოგადად პროდუქციის უსაფრთხოების დირექტივის დანერგვა Directive 2001/95/EC of the European Parliament and of the Council of 3 December 2001 on general product safety.</p> | <p>მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა</p> | | <p>კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში</p> | | P | | | |
| 4.1.4 | <p>ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ზოგადად ბავშვთა სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების ევროპული რეკომენდაციების დანერგვა „Child Product Safety Guide- Potentially dangerous products“</p> | <p>გამოქვეყნებულია დოკუმენტის სამუშაო ვერსია.</p> | <p>მონაცემები არ არის</p> | <p>დოკუმენტი ხელმისაწვდომია განხილვის, შენიშვნებისა და წინადადებებისათვის</p> | | P | | | |
| 4.1.5 | <p>ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „ბავშვთა სათამაშოების შესახებ ვეროდირექტივის დანერგვა (Directive 2009/48/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the safety of toys).</p> | <p>მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა</p> | <p>მონაცემები არ არის</p> | <p>კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში</p> | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|-------|---|--------------------------------------|--------------------|--|---|--|--|--|--|
| 4.1.6 | <p>მედიკამენტებით და სხვა საშუალებებით, რომელიც შეიცავს ისეთ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, როგორცაა საყოფაცხოვრებო ქიმია, პესტიციდები და ა.შ ბავშვთა მოწამვლის პრევენციისათვის პირველადი და მეორადი სპეციალური შეფუთვის დანერგვა (მწელად მოსახსნელი თავსახური, ეტიკეტირება).</p> | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | P | | | | |
| 4.1.7 | <p>ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კოსმეტიკურ-ჰარფთემერულ საშუალებების უსაფრთხოების შესახებ ევროდირექტივის დანერგვა Safer cosmetics for Europeans Regulation (EC) No 1223/2009 on cosmetic products.</p> | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | P | | | | |
| 4.1.8 | <p>ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საყოფაცხოვრებო ქიმიური პროდუქციის შესახებ დირექტივის დანერგვა (Regulation (EC) No648/2004)</p> | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | P | | | | |

| | | | | | | | | | |
|--------|--|---|----------------------|--|--|---|--|--|--|
| 4.1.9 | WHO-ს რეკომენდაციების შესაბამისად სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „საღებავებში ტყვიის გამოყენების აკრძალვა“. | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | | P | | | |
| 4.1.10 | ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბიოციდების შესახებ დირექტივის დანერგვა (Regulation (EC) No 528/2012, DIRECTIVE 98/8/EC) | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | | P | | | |
| 4.1.11 | ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზება და სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამომხმარებლო ბაზარზე პირობითი განთავსების შესახებ ევროდირექტივის დანერგვა (Directive 2007/23/EC) | მიღებული აქტ(ებ)ის სახელწოდება/ნუსხა | მონაცემები არ არის | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | | P | | | |
| 4.1.12 | შესაძლებლობების შეფასება, ქიმიური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება და ქვეყნის ტერიტორიაზე ბრუნვაში არსებული ქიმიური ნივთიერებების მონიტორინგისათვის რეგულატორული სისტემის შექმნა. | დასახელებულია კომპეტენტური ორგანო CLP (1272/2008/ EC) მოთხოვნების შესაბამისად | მუშაობა მიმდინარეობს | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|--------|--|--|----------------------|--|--|--|---|--|--|
| 4.1.13 | ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების მართვისათვის საერთაშორისო მედიკო-სანიტარული წესების მოთხოვნათა IHR-requirement ჩართვა ეროვნულ კანონმდებლობაში და განხორციელება. | ეროვნულ კანონმდებლობაში ასახულია IHR-requirement მოთხოვნები | მუშაობა მიმდინარეობს | კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულია მთავრობის მიერ და გამოქვეყნებულია ოფიციალურ ჟურნალში | | | P | | |
| 4.1.14 | ვერცხლისწყლის და ვერცხლისწყლის ნაერთების მართვისათვის საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა | გამოქვეყნებულია სამოქმედო გეგმა ვერცხლისწყალთან დაკავშირებით | მუშაობა მიმდინარეობს | კანონმდებლობა გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში | | | P | | |
| 4.1.15 | ვერცხლისწყალთან დაკავშირებული სექტორული კანონმდებლობის ცვლილებები | გამოქვეყნებულია ვერცხლისწყლის შესახებ კანონმდებლობა | მუშაობა მიმდინარეობს | კანონმდებლობა გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში | | | P | | |

ამოცანა 4.2 საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში 2018 წწ.

| | | | | | | | | | |
|-------|---|--|--|--|--|--|---|--|--|
| 4.2.1 | სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საქართველოში საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით (რეგისტრის შემუშავება). | საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგისტრი შემუშავებულია | რეგისტრის სამუშაო ვერსია შეთანხმებულია | სამოქმედო ჩარჩო შემუშავებულია, შეთანხმებული და ამოქმედებულია | | | P | | |
| 4.2.2 | წინადადებების შემუშავება კანონმდებლობის გადახედვისათვის სამოქმედო ჩარჩოს მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და შესაძლებლობების განვითარება. | საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი შემუშავებულია რეგისტრის მდგრადობისათვის | სამუშაო ვერსიის მომზადება | საკანონმდებლო ცვლილებები აისახა ეროვნულ კანონმდებლობაში | | | P | | |

ამოცანა 4.3 რისკი ბავშვებზე მოქმედი საშიში ქიმიური ნივთიერებებისა სკოლებსა და საბავშვო ბაღებში შეფასებულია და შემცირებულია 2020 წ.

| | | | | | | | | | |
|-------|--|--|------------------|--|--|---|--|--|--|
| 4.3.1 | სკოლასა და საბავშვო ბაღში საშიში ქიმიური ნივთიერებებით შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისა და კონტროლის განსახორციელებლად სისტემის ჩამოყალიბება. | სკოლასა და საბავშვო ბაღში საშიში ქიმიური ნივთიერებებით შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მონიტორინგისა და კონტროლის განსახორციელებლად ყალიბდება მონიტორინგის სისტემა | 0% | ყოველწლიურად 10% იზრდება სკოლებისა და საბავშვო ბაღების რაოდენობა, რომელიც მოცულია მონიტორინგით 2020 წ. | | P | | | |
| 4.3.2 | ეროვნული შესაძლებლობის ჩამოყალიბება ქიმიური ნივთიერებების კომბინირებული ზემოქმედების რისკის შესაფასებლად ჯანმო-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად. | შექმნილია ეროვნული შესაძლებლობები რამდენიმე ქიმიური ნივთიერების კომბინირებული ზემოქმედების რისკის შესაფასებლად | არ არის მონაცემი | მეთოდოლოია შემუშავებულია. | | P | | | |

ამოცანა 4.4 აზბესტით განპირობებული დაავადებების აღმოფხვრის ეროვნული პროგრამა შემუშავებულია 2019 წ.

| | | | | | | | | | |
|-------|--|--|------------------------------|--|--|---|--|--|--|
| 4.4.1 | აზბესტის ეროვნული პროფილის შემუშავება, ჯანმო-ს რეკომენდაციების შესაბამისად (საჭიროებების/ნაკლოვანებების იდენტიფიცირება). | აზბესტის დარგობრივი მოხმარებისა და ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა გაანალიზებულია | შემუშავებულია სამუშაო ვერსია | მთავრობის დადგენილება აზბესტის ეროვნული პროფილის შესახებ | | P | | | |
|-------|--|--|------------------------------|--|--|---|--|--|--|

| | | | | | | | | | |
|---|--|--|--------------------|--|--|---|---|---|---|
| 4.4.2 | აზბესტით განპირობებული დაავადებების (აგდ) ელიმინაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება. | აგდ ელიმინაციის ეროვნული პროგრამის სამუშაო ვერსია შეთანხმებულია უწყებებს შორის | საკითხი ღიაა | პროგრამა დამტკიცებული და ამოქმედებულია | | | P | | |
| ამოცანა 4.5 ზემოქმედების რისკი საშიში ქიმიური ნივთიერებებისა სამუშაო ადგილებზე (განსაკუთრებით სოფლად) გარემოში შეფასებულია და შემცირებულია 2020 წ. | | | | | | | | | |
| 4.5.1 | ფერმერებისათვის პესტიციდების და სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების სათანადო მართვა, საგანმანათლებლო და პრევენციული ღონისძიებების შესახებ კომპონენტის ჩართვა | % რაოდენობა ფერმერებისა, რომლებმაც გაიარეს საგანმანათლებლო პროგრამა | | განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები | | P | P | P | P |
| 4.5.2 | აგროქიმიკატებისა და მათი ნარჩენების რეგისტრაცია და მართვის გაუმჯობესება | აგროქიმიკატებისა და მათი ნარჩენების რეგისტრის წარმოების წესი დამტკიცებულია | | რეგისტრი შემუშავებულია, დამტკიცებულია, გამოქვეყნებულია, ახლდება პერიოდულად | | | P | | |
| 4.5.3 | მოშხამვების კონტროლის და ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის (Poisoning center) ჩამოყალიბება ჯანმო-ს მოთხოვნების შესაბამისად | ცენტრი ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს | ინფორმაცია არ არის | მოშხამვების კონტროლის და ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის (Poisoning center) წლიური ანგარიში | | | P | | |

| | | | | | | | | | |
|--|--|--|---------------------------|--|--|---|--|--|--|
| 4.5.4 | <p>მოსახლეობაში მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების გავრცელების თავიდან აცილების, გამოვლენის, მზადყოფნის, რეაგირებისა და ლიკვიდაციის მიზნით არსებული ტოქსიკოლოგიურ-ქიმიური ლაბორატორიების მეფინგი და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</p> | <p>მოშხამვების ლაბორატორიული დადასტურება შესაძლებელია</p> | <p>ინფორმაცია არ არის</p> | <p>დადასტურებული დიაგნოზების რაოდენობა მოშხამვების კონტროლის და ტოქსიკოლოგიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის (Poisoning center) წლიური ანგარიშის მიხედვით</p> | | P | | | |
| <p>ამოცანა 4.6 რადონი ზემოქმედების შემცირება მოსახლეობაზე</p> | | | | | | | | | |
| 4.6.1 | <p>ქვეყანაში გეოლოგიური პროგნოზის საფუძველზე რადიაციული მონიტორინგის განხორციელება მიწისქვეშა ნაგებობებში.</p> | <p>რადონის მონიტორინგის შედეგების რუქის მომზადება</p> | <p>საკითხი ღიაა</p> | <p>საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოების და მიწისქვეშა ნაგებობების % რაოდენობა, სადაც ჩატარდა საამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა/განხორციელება რადონის ზემოქმედების შესამცირებლად.</p> | | P | | | |
| 4.6.2 | <p>მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება რადონთან დაკავშირებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებების შესახებ.</p> | <p>შემუშავებული / მომზადებული საინფორმაციო მასალების და აქტივობების რაოდენობა. მოსახლეობის წილი, რომელიც მოიცვა საინფორმაციო ღონისძიებებმა</p> | <p>საკითხი ღიაა</p> | <p>მოსახლეობას პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო მასალები</p> | | P | | | |

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|--------------|---|--|--|---|---|---|
| 4.6.3 | ინტერვენციების განხორციელება რადონის მაღალი კონცენტრაციის მქონე შენობებში. | ნაგებობების % მაჩვენებელი, სადაც ჩატარდა საამშენებლო სამუშაოები რადონის ზემოქმედების შესამცირებლად. | საკითხი ღიაა | ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში და დაგეგმილი აქტივობები გაწერილი ეტაპებად | | | P | P | P |
|-------|--|---|--------------|---|--|--|---|---|---|

ამოცანა 5.1 კლიმატის ცვლილებებისადმი მოწყვლადობის, ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და ადაპტაციის (ჯანდაცვითი ასპექტების) შეფასება 2018 წ.

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|--------------|--------------------------|--|--|---|--|--|
| 5.1.1 | კლიმატის ცვლილებებისადმი ადამიანების ჯანმრთელობის ზემოქმედების არსებული და მოსალოდნელი რისკების შეფასების ჩატარება | შეფასების სფერო და ჩარჩო განსაზღვრულია; გეოგრაფიული რეგიონი და ჯანმრთელობის ეფექტები განსაზღვრულია; შეფასების პოლიტიკური კონტექსტი განსაზღვრულია; პროექტის გუნდი და მენეჯმენტის გეგმა დადგენილია; შეფასების პროცესში ძირითად მხარეთა ჩართულობა უზრუნველყოფილია; კომუნიკაციის გეგმა შემუშავებულია. | ღიაა საკითხი | ანგარიში გამოქვეყნებულია | | | P | | |
|-------|--|---|--------------|--------------------------|--|--|---|--|--|

| | | | | | | | | | |
|--|--|---|--|--|--|--|--|--|--|
| | | კლიმატის ცვლილებების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საბაზისო მონაცემების დადგენილია; კლიმატ-სენსიტიური ჯანდაცვითი გამოსავლების რისკები შეფასებულია; | | | | | | | |
|--|--|---|--|--|--|--|--|--|--|

| | | | | | | | | | |
|---|--|--|-------------|--|-----------|---|---|---|---|
| 5.1.2 | მოწვევადობისა და ადაპტაციის შეფასების ჩატარება | სოციალური მართვის ჯგუფებისა და რეგიონების რისკები შეფასებულია; ჯანდაცვის და სხვა სექტორების არსებული შესაძლებლობები შეფასებულია: კლიმატის ცვლილებების ზემოქმედებით განპირობებული ავადობის დამატებითი ტვირთის განსაზღვრულია; საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკისა და პროგრამების არსებული შესაძლებლობების განსაზღვრულია. | ლია საკითხი | ანგარიში დამტკიცებულია და გამოქვეყნებულია | | | P | P | P |
| 5.1.3 | ქმედებისა და უმოქმედობის ხარჯების შეფასების ჩატარება | ქმედების ხარჯებისა და უმოქმედობით გამოწვეული ჯანმრთელობის დანახარჯების შეფასება ჩატარებულია | | დანახარჯები USD ვალუტაში და მათი წილი GDB -თან მიმართებაში შეფასებულია და ანგარიში გამოქვეყნებულია | | | P | | |
| 5.1.4 | ეროვნული ექსპერტების მომზადება საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე და პროექტის მართვის ჯგუფის უზრუნველყოფა ტექნიკური საშუალებებით | ექსპერტების მომზადება; პროექტის მენეჯმენტის ჯგუფის უზრუნველყოფილია ტექნიკური საშუალებებით | ლია საკითხი | მომზადებული ექსპერტების რაოდენობა. | mission.c | P | P | P | |
| ამოცანა 5.2. ეროვნული ჯანდაცვის ადაპტაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/დასრულება 2018წ | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|--------|--|---|-------------|---|--|--|---|--|--|
| 5.2.1. | კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება | ეროვნული ადაპტაციის სტრატეგია შემუშავებულია და მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა აუცილებელ ღონისძიებას | ღია საკითხი | სტრატეგია დამტკიცებული და გამოქვეყნებულია | | | P | | |
| 5.2.2 | თბური ტალღების სამოქმედო გეგმის შემუშავება | თბური ტალღების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და ხელმისაწვდომია | ღია საკითხი | თბური ტალღების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია | | | P | | |

ამოცანა 5.3. კანონმდებლობის ჰარმონიზება UNFCCC-ის კონვენციის მოთხოვნებისა და ჯანმრთელობის გამოსავლების შეფასების გათვალისწინებით

| | | | | | | | | | |
|-------|---|---|--|---|--|--|---|---|--|
| 5.3.1 | ჯანდაცვის კანონმდებლობის ინვენტარიზაცია და იმ აქტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ ცვლილებას | შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე აქტები ყველა სექტორისათვის განსაზღვრულია | | იდენტიფიცირებული სექტორებისა და საკანონმდებლო აქტების რაოდენობა | | | P | | |
| 5.3.2 | ჯანდაცვის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ასოცირების ხელშეკრულებასა და კონვენციასთან | ჰარმონიზებული და ადაპტირებული აქტების რაოდენობა | | ჯანდაცვითი კანონმდებლობა ჰარმონიზებული და ადაპტირებულია | | | P | P | |

ამოცანა 5.4. ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ სათბური გაზების წილის შემცირება ეროვნულ ემისიებში X%-ით 2020 წ. (2018 წლიდან)

| | | | | | | | | | |
|-------|--|---|-------------|--|--|--|---|---|---|
| 5.4.1 | სამედიცინო დაწესებულებებიდან სათბური გაზების ემისიების წილის განსაზღვრა ქვეყნის საერთო ემისიებში | სამედიცინო დაწესებულებების სათბურის გაზების გაფრქვევის წილი განსაზღვრულია | ღია საკითხი | ჯანდაცვის სექტორიდან სათბური გაზების ემისიების მოცულობა და % დადგენილია | | | P | | |
| 5.4.2 | ენერგოეფექტურობის დეტალური ანალიზი ჯანდაცვის სისტემაში | სამედიცინო დაწესებულების შენობების ენერგოეფექტურობა და ენერგიის განახლებადი რესურსების გამოყენება შეფასებულია | | ანალიზისა და რეკომენდაციების შესახებ ანგარიში მომზადებულია | | | | | P |
| 5.4.3 | საავადმყოფოების უსაფრთხოების შეფასება | შენობების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შეფასება ენერგოეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებულია | | შეფასებული საავადმყოფოების რაოდენობა და % | | | P | P | |
